From: Advocacy MDM Georgia [mailto:advocacy.georgia@medecinsdumonde.net]
Sent: 15 July, 2019 10:55
To: secretary@georgia-ccm.ge; admin@georgia-ccm.ge
Cc: GenCo MDM Georgia <genco.georgia@medecinsdumonde.net>
Subject: CCM-ის მხარდაჭერის წერილი ინიციატიცა 5%-ის საგრანტო კონკურსისათვის

ძვირფასო ირინა და ნათია, მოგესალმებით,

მოგმართავთ მსოფლიო ექიმების (MDM) საქართველოს წარმომადგენლობის სახელით.

მსურს მოგახსენოთ რომ MDM-ს შეტანილი გვქონდა განაცხადი საფრანგეთის 5%-ის ინიციატივას (Initiative 5%) საგრანტო კონკურსის ლოტზე: Access to healthcare for vulnerable populations [VP].

მოცემული ეტაპისათვის გავიარეთ საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი, რის შედეგადაც, მოგვიწვიეს სრული საპროექტი განაცხადის წარსადგენად.

შეთავაზებული პროექტის მიზანს წარმოადგენს: საქართველოსა და სომხეთში მაღალი რისკის ჯგუფებში აივ ინფექციის პრევენციისა და გამოვლენის ინოვაციური და თემზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა. (*To introduce innovative, community oriented approaches of HIV prevention and detection among KAPs in Georgia and Armenia, in order to improve HIV related health outcomes, sustain access to quality services and optimise resource allocation)*

პროექტი მოიცავს ორ ამოცანას:

ამოცანა 1: ნარკოტიკების მომხმარებლებისა და ლგბტ+ თემის ხელმისაწვდომობის გაზრდა აივ ინფექციის და ზიანის შემცირების ხარისხიან მომსახურებებზე, ადგილობრივი პარტნიორების უნარების გაძლიერებისა და ინოვაციური მოდელების დანერგვის გზით. (*To improve the access to quality HIV and Harm Reduction services among PUD and LGBT+ in Georgia and Armenia, through capacity building of local partners and introduction of innovative prevention models).*

ამოცანა თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ინტერვენციების:

- *ლგბტ+ თემზე მიმართული და სათემო ბაზაზე მიწოდებული ინოვაციური პრენციული მომსახურების მოდელის შემუშავება და პილოტირება. (მოდელი მათ შორის მოიცავს სათემო ბაზაზე მიწოდებლ პრეპ-ს, პეპ-ს და თვით-ტესტირებას)*
- *ნარკოტიკების მომხმარებელ ახალგაზრდებსა და ლგბტ+ თემზე მიმართული ზიანის შემცირების მომსახურების მოდელის შექმნა და პილოტირება. (მოდელი მათ შორის*

მოიცავს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, ასევე ლგბტ თემში ქემსექსზე (chemsex) მიმართულ ინტერვენციებს)
- *ზიანის შემცირებისა და აივ პრევენციის პროგრამების გენდერული სენსიტიზაცია.*

ამოცანა 2: გლობალური ფონდის დაფინანსების გარდამავალ პერიოდში მაღალი რისკის ჯგუფებზე მიმართული პრევენციული პროგრამების სტრატეგიული და მდგრადი დაფინანსების ადვოკატირება, თემისა და დაინტერესებული მხარეების მობილიზების და სისტემების განვითარების გზით. (*To advocate for strategic, sufficient and sustainable investments in HIV prevention targeting KAPs in GFATM transition period, by means of community and stakeholders mobilisation and system strengthening)*

ამოცანა თავის მრივ მოიცავს შემდეგ ინტერვენციებს:

- *რეგიონალური (სამხრეთ კავკასია) საადვოკაციო პლატფორმის შექმნა.*
- *საქართველოსა და სომხეთში ადგილობრივი სათემო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების შესაძლებლობების და სათემო სისტემების გაძლიერება.*
- *გარდამავალ პერიოდში, ზიანის შემცირების მომსახურებების პროგრამული ასპექტების მდგრადობის შეფასება.*

პროექტი განხორციელების ხანგრძლივობა არის 3 წელი (2020-2022).

პროექტის განხორციელებაში MDM-თან ერთად ჩართულია 5 პარტნიორი ორგანიზაცია, ესენია

- თანასწორობის მოძრაობა (საქართველო)
- სათემო ალიანსი (საქართველო)
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი - WISG (საქართველო)
- Real World Real People (სომხეთი)
- ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაცია - EHRA (ტექნიკური პარტნიორი სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ აქტივობებში)

აქვე მოგახსენებთ, რომ 5% ინიციატივს საპროექტო განაცხადის წარდგენისათვის გვესაჭიროება **ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მხარდაჭერის წერილი (Letter of Support).**

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით მოცემული ინფორმაცია მიაწოდოთ საკოორდინაციო საბჭოს განსახილველად.

გთხოვთ მიგვითითოთ პროცესის ტექნიკური პროცედურების შესახებ და დამატებით რა ინფორმაციის წარდგენაა საჭირო საბჭოსთვის საკითხის განსახილველად.

წინასწარ დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის
პატივისცემით
გიორგი

Giorgi Soselia
Advocacy Coordinator
Médecins du Monde (MdM)/Doctors of the World
46 Gutani Street,Tbilisi 0103, Georgia.
Tel: (995 32) 2 74 56 77; Mob: (995 555) 549 110
Website: http://www.medecinsdumonde.org/en
E-mail: advocacy.georgia@medecinsdumonde.net